

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად აკადემიური საბჭოს 2023 წლის 25 დეკემბრის #123/2023 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

#14 ოქმი (შემაჯამებელი კორექტირებული)

ქ. თბილისი

11.03.2024წ

15:30 სთ, თსუ II კორპ. ოთახი #202

სხდომას კომისიის წევრებიდან ესწრებოდა 5 წევრი:

- ა) მამუკა მაისურაძე - სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
- ბ) გიორგი ბეზარაშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
- გ) დენიტა ბიბილეიშვილი - სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის მდივანი);
- დ) მზია ციცაგი - თსუ-ს ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე;
- ე) გიორგი ჯიბუტი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი;

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის „ა“ კატეგორიის ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილე მარინა ტრაპაიძის შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის პროფესორ მამუკა მაისურაძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის

წევრებმა იმსჯელეს და შეაფასეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის „ა“ კატეგორიის ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში (1 საშტატო ერთეული) საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა - მარინა ტრაპაიძემ.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისაგან კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით წერილობით დადასტურებით გადმოზარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საბუთები.

მარინა ტრაპაიძემ შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“, II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო კვლევითი შესაბამისობა) მიიღო მაღალი შეფასება IV კატეგორიაში (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება. (იხ.ოქმი #2).

კონკურსანტმა მარინა ტრაპაიძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი (1968-1973წწ), 1976-1979 წწ სწავლა განაგრძო ასპირანტურაში თსუ-ის ორგანული ქიმიის კათედრაზე საიდანაც მივლინებული იყო მოსკოვის დ.ი.მენდელეევის სახელობის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტის ორგანული ქიმიის კათედრაზე. 1980 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე - „გამოკვლევები 1H,6H ინდოლო[7,6-g]ინდოლის ქიმიის სფეროში“ და მიენიჭა ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი; 2006 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „გამოკვლევები ტეტრაციკლური კონდენსირებული ჰეტეროციკლური ნაერთების - დიპიროლონაფთალინების რიგში“ და მიენიჭა ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის პედაგოგიური საქმიანობის შეფასებას გაითვალისწინა, რომ იგი წლების განმავლობაში ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში, წარმოდგენილი სილაბუსები ფორმით და შინაარსით აკმაყოფილებენ თსუ-ში სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ მოქმედ მოთხოვნებს.

მ.ტრაპაიძის მიერ წარმოდგენილ კონცეფციაში კარგად არის გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი, იგი დამაჯერებლად მსჯელობს მისი სამეცნიერო ინტერესებისა და მომავალი გეგმების შესახებ, რაც ჩანს „კონკურსანტის შეფასების ფორმაში“ (დანართი 4).

მ.ტრაპაიძე მონაწილეობს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში, რომლის ძირითადი მიმართულებაა - ჰეტეროციკლური ნაერთების სინთეზი, კერძოდ ბისინდოლების მიღება და კვლევა. სხვადასხვა ტიპის ნაფთალინის დიჰიდრაზიდებიდან მიღებული იქნა ჩაუნაცვლებელი ბისინდოლები.

იგი კვლევებს აწარმოებს ასევე ფოტოქრომული ნაერთების მიღებასა და მიღებული ნაერთების შესწავლის მიმართულებით. მიღებული იქნა ორი სხვადასხვა სახის ფოტოქრომული ნაერთი: სპიროპირანისა და დიჰიდროინდოლიზინის ტიპის ფოტოქრომები, რომელთა შესწავლა დღემდე გრძელდება.

მარინა ტრაპაიძე აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში. მისი ცოდნა და გამოცდილება აისახება მის პედაგოგიურ აქტივობაშიც. მის აკადემიურ შესაძლებლობაზე მეტყველებს იმ კურსების ჩამონათვალი, რომელთა წაკითხვაც შეუძლია კონკურსანტს (ბაკალავრიატში - ორგანული ქიმია, ბუნებრივ ნაერთთა ქიმია (საბაკალავრო პროგრამა „ქიმია“); მაგისტრატურაში - ფიზიოლოგიურად აქტიურ ბუნებრივ ნაერთთა კვლევა, ორგანულ ნაერთთა სტრუქტურის კვლევის მეთოდები, შუქმგრძობიარე ორგანული ნაერთების ქიმია, ჰეტეროციკლურ ნაერთთა ქიმია (სამაგისტრო პროგრამა „ქიმია“), დოქტორანტურაში ინდოლისა და მისი ანალოგების ქიმია. მისი პროფესიონალიზმისა და პიროვნული თვისებების გამო იგი ერთერთი საყვარელი ლექტორია სტუდენტებისათვის.

მ.ტრაპაიძის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობა გვარწმუნებს, რომ იგი ხელს უწყობს ახალი კვლევითი თემატიკის განვითარებას და საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას. საკონკურსო ანკეტაში მითითებული 44 ნაშრომიდან - ერთი მონოგრაფიაა, 12 იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში დაბეჭდილი სტატია, 31 რეცენზირებად, საერთაშორისო უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატია. ბოლო 6 წლის განმავლობაში 10 სამეცნიერო თეზისის ავტორია, რომლებიც წარმოდგენილია საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებზე. არის 2 საავტორო მოწმობის და 1 პატენტის ავტორი. არის 1 სახელმძღვანელოს თანავტორი და 4 ელექტრონული კურსის ავტორი. თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (2001- დღემდე) [გერმანიის საარბრიუკენის უნივერსიტეტი, აშშ ინფექციურ დაავადებათა სამხედრო-სამედიცინო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, აშშ-ის და ბრიტანეთის კიბოს ნაციონალური ინსტიტუტი, ზაარლანდის უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის ინსტიტუტი]; არის 1 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი. 2023 წელს მიღებული აქვს თსუ-ის „მადლობის სიგელი“.

მისი ციტირების ინდექსებია: Scopus – 89, h ინდექსი 5; Web of Science - 97 h ინდექსი 6; Google scholar – 177, h ინდექსი 7, g -ინდექსი - 10, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ნაშრომები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და სრულიად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას.

მ.ტრაპაიძეს თავისი შრომებით დასამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობით, უცხოური ენების ფლობის დონით, შეუძლია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის საერთაშორისო-სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლისა. მისი სამეცნიერო-კვლევითი გეგმა შეესაბამება საუნივერსიტეტო საკონკურსო სასწავლო-სამეცნიერო პროფილს. გამოცდილი კადრია როგორც მოქალაქეობრივი ისე აკადემიური ღირებულებებით, რომლის მიღება საუნივერსიტეტო სივრცეში არის უნივერსიტეტის სამომავლო განვითარების ხელშემწყობი პირობა. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულად შეესაბამება ვაკანსიის მოთხოვნებს. (ოქმი # 6).

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) მხარი დაუჭირა მარინა ტრაპაიძის კანდიდატურას. მარინა ტრაპაიძის არჩევაზე და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის „ა“კატეგორიის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ხელს შეუწყობს პროფესიული კადრების აღზრდას. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აქტიურ აკადემიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას, თსუ-ში მუშაობის სტაჟსა და გამოცდილებას. კომისიამ ასევე გაითვალისწინა კონკურსანტის პიროვნული თუ პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

ერთხმად დაადგინეს:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის „ა“კატეგორიის ასოცირებული პროფესორის (ერთი საშტატო ერთეული) 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად ერთხმად გამოვლინდა მარინა ტრაპაიძე.
2. გადაეცეს კომისიის შემაჯამებელი ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის წევრების ხელმოწერა

1. მ.მაისურაძე (კომისიის თავმჯდომარე)
2. გ.ბეზარაშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)
3. დ.ბიბილეიშვილი (კომისიის მდივანი)
4. მ.ციცაგი
5. გ.ჯიბუტი

თარიღი

